ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.33/10/213

ქ.თბილისი **31 დეკემბერი 2019 წ.**

ერთის მხრივ, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის კახაბერი ლაბუჩიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ქარ ვაშ ჯორჯია“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ძამაშვილის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი“ -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ეწევა მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია-შემსყიდველის საკუთრებაში არსებული მსუბუქი სტანდარტული ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვითი მომსახურება წინასწარ გაცემული რეცხვის ტალონებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის $ს^1$ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

2.2. CPV კოდი 50112300.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4 212 (ოთხი ათას ორას თორმეტი) ლარს. მათ შორის: რეცხვა 3 948 ლარი. თვეში გასაცემი ტალონების რაოდენობა შეადგენს 47 ცალს, ერთი ტალონის ღირებულებაა 7 ლარი, სულ თანხა თვეში - 329 ლარი), ქიმიური წმენდა წელიწადში ორჯერ, თანხით 264 ლარი;

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების გაწევისა და ანგარიშსწორების პირობები

4.1 შემსყიდველი იხდის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვის ღირებულებას უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეცხვის ტალონების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში;
4.4. საგადასახადო რეჟიმის შეცვლის ან სხვა მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს (გაზარდოს) რეცხვის ღირებულება, რის შესახებ ის 10 დღით ადრე წერილობით აცნობებს „შემსყიდველს“;
4.5 შემსყიდველის მოთხოვნიდან სამი დღის განმავლობაში მიმწოდებელი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნილი რაოდენობის რეცხვის ტალონებს. მიღება-ჩაბარების აქტში აღინიშნება შეძენილი რეცხვის ტალონების სახეობა, რაოდენობა, ღირებულება და სხვა პარამეტრები;
4.6. წინამდებარე ხელშეკრულების ინტერესებიდან გამომდინარე, ავტომანქანის რეცხვის ტალონი-ეს არის მიმწოდებლის მიერ დაბეჭდილი ბარათი, რომელიც განკუთვნილია შემსყიდველისათვის და ადასტურებს მის უფლებას შესაბამის ავტოსამრეცხაოში მიიღოს ავტომანქანის რეცხვის მომსახურება.
ტალონზე აღინიშნება:
-ტალონის ნომერი;
-მიმწოდებლის ბეჭედი;
-ტალონის (მომსახურების) სახეობა;
4.7. ავტოსამრეცხაოზე წარმოდგენილი ტალონი, უკანა მხრიდან დამოწმებული უნდა იყოს შემსყიდველის ბეჭდით, დაუმოწმებელ ტალონზე მომსახურება არ განხორციელდება;
4.8. შემსყიდველის ბეჭდით დამოწმებული ტალონით რეცხვითი მომსახურება განხორციელდება ნებისმიერ მის წარმომდგენ პირზე;
4.9. მიმწოდებელი ვალდებულია რეცხვის ტალონის წარმოდგენისთანავე გაურეცხოს ავტომანქანა რეცხვის ტალონის წარმომდგენს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;
5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობიდან წარმოადგენს გამგეობის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი თამარ ნავროზაშვილი.

6. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

6.1. მომსახურება განხორციელდება შემდეგ მისამართზე: თელავის ქუჩა №56;
6.2. მომსახურება განხორციელდება 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველის წარმომადგენელი-მძღოლი უფლებამოსილია დაესწროს მიმწოდებლის მიერ შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების რეცხვის პროცესს;
7.3. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.5. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ

.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ისნის რაიონის გამგეობა

მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208204959

გამგებელი

_____ კ. ლაბუჩიძე

მიმწოდებელი:

შპს „ქარ ვაშ ჯორჯია“

მის. ქ.თბილისი, თელავის ქუჩა №56
სს „თი ბი სი ბანკი“
ა/ა GE18 TB74 7003 6020 1000 06

კოდი TBCBGE22
საიდენტ. კოდი 406 298 377

დირექტორი

_____ გ. ძამაშვილი

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2019.12.31 03:40:32 -08'00'

ქ. თბილისი

31 დეკემბერი 2019 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა გამგეობის საკუთრებაში არსებული მსუბუქი სტანდარტული ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვითი მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

გამგეობის საკუთრებაში არსებული მსუბუქი სტანდარტული ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეცხვითი მომსახურების შესყიდვაზე, 2019 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული №10.33/10/213 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

გამგეობის საორგანიზაციო
განყოფილების უფროსი

თამარ ნავროზაშვილი

ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY

Digitally signed by ISANI DISTRICT GOVERNMENT OF TBILISI CITY
Date: 2019.12.31 03:40:50 -08'00'